ოქმი N3

ხობის მუნიციპალიტეტის მეექვსე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი **2026 წლის 11 მარტი**

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 11

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 11

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. გოჩა ქაჯაია
2. მამუკა ქარდავა
3. გიორგი გვასალია
4. გივი ლატარია
5. ვლადიმერ ქანთარია
6. ლევანი ლიპარტია
7. აკაკი მალანია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა გოჩა ქაჯაია – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2026 წლის 10 მარტის N50-502606927 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2026 წლის 10 მარტის N50-502606927 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების

შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“და კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულობები განისაზღვრა - 30785,2 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები - 46277,5 ათასი ლარის ოდენობით. 2026 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან ბიუჯეტში აისახება 4207,7 ათასი ლარი, ნაშთი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“ (პროგრამული კოდი 01 00) ასიგნებაზე 120.0 ათასი ლარი, აქედან: 120,0 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი 01 02 03) ასიგნებაზე; პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ (პროგრამული კოდი 02 00) ასიგნებაზე 4087,7 ათასი ლარი, აქედან: 3536,5 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ (პროგრამული კოდი 02 01 01) ასიგნებაზე; 166,4 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ (პროგრამული კოდი 02 01 02) ასიგნებაზე; 192,4 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 02 02 03) ასიგნებაზე; 88,4 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ (პროგრამული კოდი 02 02 04) ასიგნებაზე; 104,0 ათასი ლარი პროგრამის ,,სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი 02 05) ასიგნებაზე. ბიუჯეტში ასევე ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის სხვადასხვა გადანაწილებების ასახვა. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ ბიუროს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე გოჩა ქაჯაია